საქ. სსრ ... სახ. საჯ. ... ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 69 (19211) შაბათი, 23 მარტი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი კვარტალი იწურება, ვუმატოთ ტემპს!

დიდი სირთულის წინაშე აღმოჩნდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა მიმდინარე წლის თებერვალში. დიდთოვლობამ, ტემპერატურის მკვეთრმა დაწევამ, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების შეზღუდვამ, ტრანსპორტის მუშაობის რიტმის დარღვევამ ძალიან გააძნელა მრეწველობისა და სხვა დარგების ნორმალური მოქმედება.

მიუხედავად ამისა, წარმატებით შესრულდა ორი თვის დავალებანი, გეგმის გადამეტებით დამზადდა თერთმეტი მილიონი მანეთის პროდუქცია და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, წარმოების მოცულობის ტემპის ზრდის მხრივ შენარჩუნებულია იანვრის მაჩვენებელი — 6,6 პროცენტი. რეალიზებულია შრომის ნაყოფიერების გეგმის გადამეტებით ზრდასთან დაკავშირებული ვალდებულება.

უდაოდ იქ, სადაც სტიქიას დაუპირისპირეს ორგანიზებულობა, დარაზმულობა, საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, შემართება და თავდადება, შედეგსაც მიაღწიეს.

ძნელ პირობებში მუშაობა, აღინიშნა ახლახან გამართულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობისა და ორგანიზატორული ძალების ერთგვარი დათვალიერება გახდა. იგივე ითქმის საწარმოების, გაერთიანებების, უწყებებისა და სამინისტროების ხელმძღვანელების, მათი კოლექტივების შესახებაც.

სამწუხაროდ, რთულ სიტუაციაში მუშაობისათვის ყველანი ვერ აღმოჩნდნენ მზად, ვერ შეეგუნენ შექმნილ მძიმე პირობებს, ვერ გადალახეს დაბრკოლებანი. არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში. ბევრმა მათგანმა თავი ვერ გაართვა პროდუქციის გამოშვების, მისი რეალიზაციისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით სახელმწიფო გეგმების შესრულებას. უამრავი ჩამორჩენილი საწარმო აღმოჩნდა თებერვალში მსუბუქი მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა სისტემებში, რომლებმაც სახელმწიფოს დააკლეს 5 მილიონი მანეთის პროდუქცია. რაც შეეხება საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს, მათ, გარდა იმისა, რომ ვერ უზრუნველყვეს 20 მილიონი მანეთის პროდუქციის დამზადება, შარშანდელი შესაბამისი პერიოდის წარმოების დონე ორი პროცენტით შეამცირეს. საერთო მდგომარეობა, როგორც ვხედავთ, მეტად სერიოზული და დაძაბულია. გეგმა არ შეასრულა 75 სამრეწველო საწარმომ და ეს ძალიან ცუდი მაჩვენებელია.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელთა სახელმძღვანელო პროგრამა გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე მარტის პლენუმზე წარმოთქმული სიტყვიდან გამომდინარე მითითებები და დასკვნები. ახლა მთავარია წარმატებით დავამთავროთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლევანდელი გეგმების შესრულებისათვის მიმდინარე მუშაობა და ამით უზრუნველვყოთ მომდევნო ხუთწლედის საიმედო დასაწყისი.

კიდევ რამდენიმე დღე და პირველი კვარტალი მიიწურება. ჩვენ წინაშე დასახული ამოცანის გადასაწყვეტად როგორც ჩამორჩენილი, ისე სხვა სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებების, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების ხელმძღვანელებმა, რადაც უნდა დაუჯდეთ, უთუოდ უნდა უზრუნველყონ კვარტალის საგეგმო დავალებათა შესრულება ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. მტკიცედ უნდა დავძლიოთ ნაკლოვანებანი, ხარვეზები, აღვკვეთოთ უხეირო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, უყაირათობა და ზოგჯერ უპასუხისმგებლობაც.

აქტივის თათბირზე ხაზი გაესვა იმას, რომ დანაკლისის ასანაზღაურებლად, პირველი კვარტალის დავალებათა შესასრულებლად მარტში გეგმის გადამეტებით უნდა გამოვუშვათ თითქმის 84 მილიონი მანეთის პროდუქცია. ამოცანა რთულია და ამავე დროს მეტად საპატიოა. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს შეძენილი აქვთ რთულ პირობებში მუშაობის დიდი გამოცდილება და, იმედია, ამჯერადაც დაძლევენ დასახულ მიჯნებს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ პირველი კვარტალის გეგმის შესრულებაზე ბევრად არის დამოკიდებული მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის წარმატებული რეალიზაციის ბედი.

წლის დამდეგიდან გაზეთი „კომუნისტი“ სისტემატურად აქვეყნებს მასალებს რესპუბლიკის ეკონომიკისა და მოსახლეობის ელექტროენერგიითა და სათბობით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მძიმე მდგომარეობის შესახებ. ამჯერადაც შევახსენებთ ყველას, რომ სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტისათვის ერთ-ერთი უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სტაბილურ მუშაობას. შემოდგომა-ზამთრის პერიოდის სადღისში გაწეული მუშაობის მიუხედავად, ზოგიერთი ობიექტური მიზეზის გამო ვერ შევძელით შეგვენარჩუნებინა ჰიდრორესურსების დაგროვილი მარაგი. მთავარი მაინც ის არის, რომ უახლოეს წლებში არ არის მოსალოდნელი ელექტროენერგიის წარმოების არსებითი ზრდა, მასზე მოთხოვნილება კი განუხრელად მატულობს. ამრიგად, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ელექტროენერგიის მომჭირნედ ხარჯვას.

ავდარმა, ცხადია, რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობაც შეაფერხა, რამაც უარყოფითად იმოქმედა სახალხო მეურნეობის პრაქტიკულად ყველა დარგის მუშაობაზე. ახლა, როგორც ჩვენს რედაქციას აცნობეს, ტრანსპორტელები ყველაფერს ღონობენ ჩამორჩენის დასაძლევად, ზარალის ასანაზღაურებლად, და ეჭვი არ არის, რომ ისინი ამას შეძლებენ, პირველი კვარტალის ტვირთზიდვისა და ტვირთბრუნვის გეგმებს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულებენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, აქტივის თათბირის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში მოექცა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. აღინიშნა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის მართვა ახლა ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ერთი წლისთვის დადგენილი ძირითადი ორიენტირების ბაზაზე ხდება. ისინი შეიცავენ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და იმ ეკონომიკური ეფექტის მიღწევის მაჩვენებელს, რომელსაც გვაძლევს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა, სახალხო მეურნეობაში ხელის შრომის გამოყენების შემცირება და უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვება. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმის შესრულებამ შარშან ღონისძიებათა რაოდენობის მიხედვით 99,1 პროცენტი, ხოლო სამუშაოთა მოცულობის მიხედვით 99,4 პროცენტი შეადგინა. განხორციელებულ ღონისძიებათა რაოდენობა შარშანწინდელთან შედარებით 300 ერთეულამდე გაიზარდა. ახლა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გეგმის მთლიანი შესრულება. პარტიის რაიონულმა, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა მთელი მეცადინეობა ამ მიმართულებით უნდა წარმართონ.

ყოველნაირად უნდა გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგებისათვის. საკითხის ასეთი დაყენება ნაკარნახევია იმ მოთხოვნებით, რომ უზრუნველვყოთ ეკონომიკის შეუფერხებელი მოქმედება მისი ყველა დარგის მჭიდრო ურთიერთკავშირის პირობებში.

მთელი ძალები მოვახმაროთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე, მარტის პლენუმის მოთხოვნების შესრულებას, უთუოდ დავძლიოთ პირველი კვარტალის დავალებანი. ამ ამოცანების გადასაწყვეტად უნდა წარვმართოთ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავის, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

გვიხმობს „წითელი შაბათობა“

◆ ახალციხის ელექტროძრავების ქარხნის კოლექტივმა მოუწოდა მშრომელებს 1985 წლის ოთხი თვის გეგმა შეასრულონ 20 აპრილს — „წითელი შაბათობის“ დღეს.

მოწოდებას მხარი დაუჭირეს რაიონის ყველა სამრეწველო საწარმოს მუშა-მოსამსახურეებმა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს ამ დღისათვის შეასრულონ ოთხი თვის გეგმა, გამოუშვან 9 მილიონ 710 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო თვის დამლევამდე გეგმის დამატებით კიდევ გამოუშვან 600 ათასი მანეთისა. ეს 7 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდში წარმოებულს.

◆ „ფოთიელექტროაპარატის“ ქარხნის კოლექტივმა შეიმუშავა შაბათობის გეგმა. ამ დღეს სამუშაოზე გამოვა 440 კაცი, მათგან 316 დაამზადებს 12 ათასი მანეთის პროდუქციას და ნედლეულის დაზოგვის გზით — 2500 მანეთისას. გარდა ამისა, მუშა-მოსამსახურეები ქარხნის ტერიტორიაზე და საცხოვრებელი სახლების გარშემო დარგავენ 500 ხეს.

◆ ოპტიმალური რეჟიმით იმუშავებს 20 აპრილს რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ ყველა აგრეგატი. კოლექტივმა დასახა შაბათობის დღეს აწარმოოს ორი ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ამ ვალდებულების შესრულებას ხელს შეუწყობს საუცხოო ტექნოლოგიური დისციპლინა, გამოცდილება და ოსტატობა. ამ დღეს გეგმის დამატებით დაამზადებენ ორ ტონა პროპილენის ძნასაკონ ხაზს. ეს არის გაერთიანების მიერ ათვისებული ახალი სახეობის პროდუქცია. ერთი კილოგრამი პროპილენი ცვლის 14 კილოგრამ ლითონის მავთულს. (საქინფორმი).

უპირველესი საზრუნავი

მიუხედავად წლევანდელი ზამთრის პირვეულობისა, იყოჩაღეს ბევრი რაიონის ფერმის მუშაკებმა, სიძნელეებს არ შეუშინდნენ და სადგომებთან დაგროვილი საკვების მიწოდებასთან ერთად არაფერი მოაკლეს პირუტყვს. სწორედ ამან უზრუნველყო ხორცის დამზადების მატება.

შარშანდელ იანვარ-თებერვალთან შედარებით წლევანდელ შესაბამის პერიოდში ოჩამჩირის რაიონმა 219 პროცენტით გაადიდა საქონლისა და ფრინველის ხორცის რეალიზაცია, ჭიათურის ზონამ — 188 პროცენტით, წულუკიძემ — 186, ზუგდიდმა — 183, ქარელმა — 175, ცხინვალმა — 169, ახალციხემ — 163, ამბროლაურმა — 160, წალკამ — 154, გურჯაანმა — 153, ადიგენმა — 148, სიღნაღმა — 137, დუშეთმა — 135, გუდაუთმა — 134, ცხაკაიამ — 130, ცაგერმა — 129, ბორჯომის რაიონმა — 128 პროცენტით.

მართალია, რესპუბლიკამ შარშანდელთან შედარებით 108 პროცენტით გაზარდა საქონლისა და ფრინველის ხორცის (ცოცხალი წონა) რეალიზაცია, მაგრამ მეტი, უკეთესი შედეგები იქნებოდა, ზოგიერთი რაიონის ფერმის მუშაკებს რომ ეყოჩაღათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მაგალითად, ლენინგორის რაიონმა შარშან იანვარ-თებერვალში სახელმწიფოს მიჰყიდა 1.918 ცენტნერი საქონლისა და ფრინველის ხორცი; წლეულს იმავე პერიოდში კი მხოლოდ 431 ცენტნერი ანუ 22 პროცენტი. ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონები, ერთსა და იმავე ზონაში მდებარეობენ. თუ შარშან ახალქალაქის რაიონმა იანვარ-თებერვალში სახელმწიფოს მიჰყიდა 3.012 ცენტნერი საქონლისა და ფრინველის ხორცი, წლეულს შესადარ პერიოდში — 3.461 ცენტნერი (115 პროცენტი); ბოგდანოვკის რაიონში შარშან რეალიზებული იყო 2.437 ცენტნერი ხორცი, წლეულს კი საგრძნობლად ნაკლები — 1.641 ცენტნერი.

განსაკუთრებულ დიდ თოვლობაში უხდებათ პირუტყვის გამოზამთრება ყაზბეგის, ჩოხატაურის, ქედის, ხულოს და შუახევის რაიონების ფერმის მშრომელებს. თოვლმა და ყინვამ გაართულა საქონლის მოვლა-პატრონობა, ამიტომაც მათ შარშანდელთან შედარებით შესაბამისად 40, 56, 47, 51 და 48 პროცენტით ნაკლები ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს. დარწმუნებული ვართ, რომ დიდი ტრადიციების მქონე ეს მეცხოველეობის რაიონები ჩამორჩენას მოკლე ხანში დაძლევენ.

საპატიო ხუთკუთხედით

ბათუმი. (საქ. კორ.). ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივის მიერ მიმდინარე წლის ორ თვეში გამოშვებული პროდუქციის 86 პროცენტი აღნიშნულია საპატიო ხუთკუთხედით. ასეთი შედეგისათვის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში არც ერთ საწარმოს არ მიუღწევია.

ელექტრომექანიკური ქარხანა ბათუმის ერთ-ერთი დიდი საწარმოა. იგი, ძირითადად, უშვებს ელექტროურიკებსა და ელექტროამწევებს, რომლებმაც საერთო აღიარება მოიპოვეს. ქარხანას ჰქონდა მიღწევებიც და იყო ჩამორჩენილთა რიგებშიც. ეს უკანასკნელი განპირობებული იყო იმით, რომ ვერ იღებდნენ საჭირო რაოდენობის აკუმულატორებს.

1984 წლიდან ქარხანაში მიმდინარეობს ექსპერიმენტი, რომლის მთავარი პირობა პროდუქციის მიწოდების ვალდებულების უთუო შესრულებაა. ამ მხრივ შარშან ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შესრულდა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი იმ კოლექტივებმა, რომლებსაც ო. მურვანიძე, ვ. ჭყონია, ი. ქობულაძე და სხვები ხელმძღვანელობენ.

მ. გორგილაძე.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სესიის მონაწილეებს

პატივცემულო მეგობრებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ მიესალმება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის სესიის მონაწილეებს.

თქვენ წარმომადგენლობთ ფართო და მასობრივ ომის საწინააღმდეგო მოძრაობას, რომელშიც აქტიურად მოქმედებენ სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის, პოლიტიკური შეხედულებისა და იდეური მრწამსის ადამიანები. ხალხის მასების მიერ ომის საშიშროების შეგნება რაზმავს მათ ქვეყნად თვად სიცოცხლის გადარჩენისათვის საბრძოლველად. ამაში განსაკუთრებული ძალით ვლინდება კაცობრიობის კოლექტიური გონება.

თქვენი შეხვედრა განიხილავს მშვიდობისათვის მოძრაობის აქტუალურ ამოცანებს ჰიტლერულ ფაშიზმზე ხალხების დიადი გამარჯვებისა და მეორე მსოფლიო ომის დამთავრების მოახლოებული 40 წლისთავის ნიშნით. ეს იყო ბარბაროსობასა და თარეშზე თავისუფლებისა და დემოკრატიის გამარჯვება, უგუნურებაზე გონიერების გამარჯვება. კაცობრიობას ახსოვს, რომ მშვიდობა მოპოვებულია მილიონობით ადამიანის სიცოცხლის ფასად, რომლებმაც ცოცხლებს სამუდამოდ უანდერძეს: დაიცვან და განამტკიცონ მშვიდობა, სანამ გაისმებოდეს ომის ზალპები.

ადამიანებს სურთ მშვიდობა. დასავლეთ ევროპაში კი, რომელიც ისედაც უკიდურესობამდე აივსო ყველა სახეობის იარაღით, ხალხების ნების საწინააღმდეგოდ განალაგებენ ასობით ახალ ამერიკულ ბირთვულ რაკეტას. იარაღი ხვავდება დედამიწის სხვა რაიონებშიც. იმპერიალიზმის მილიტარისტულმა ძალებმა „კოსმოსური ომების“ ავბედითი გეგმები შეიმუშავეს.

კოსმოსში დამკვრელი იარაღის გატანა შორეული მომავლის პროექტები კი არა, უახლოესი დროის მრისხანე საშიშროებაა. ასეთი გეგმების „თავდაცვითი“ ხასიათის შესახებ მტკიცებებმა არავინ არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში. „კოსმოსურ ფარს“ ამოფარებული აგრესიის ძალები აპირებენ შიშში იყოლიონ მთელი მსოფლიო და თავიანთი ნება უკარნახონ სხვა ხალხებს.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ იღვწის სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჟენევის მოლაპარაკების შინაარსის თაობაზე მორიგებათა შესრულებისათვის, ანუ კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილებისათვის, როგორც სტრატეგიული, ისე საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის არსებითი შემცირებისათვის, ამასთან საბოლოო მიზნად ისახავს ყველა ბირთვული არსენალის მთლიანად და ყველგან ლიკვიდაციას. დღეს ეს ყველა იმათი მთავარი მოთხოვნაა, ვისაც სურს შეინარჩუნოს მშვიდობა.

თუმცა ამჟამად არსებული მშვიდობისათვის მებრძოლთა ორგანიზაციებისა და მოძრაობების პროგრამები სულაც არ არის ერთნაირი, ყველა შეიცავს ერთ აზრს—საჭიროა დაუყოვნებლივ შეწყდეს მილიტარიზმის თარეში, შეჩერდეს გამალებული შეიარაღება, დაიწყოს რეალური განიარაღება. 1950 წლის ისტორიულ სტოკჰოლმის მოწოდებაში მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მოითხოვა აკრძალონ ატომური იარაღი, სამხედრო დამნაშავედ გამოაცხადონ მთავრობა, რომელიც გაბედავს და პირველი იხმარს მას. ეს მოწოდება, რომელსაც ასობით მილიონმა ადამიანმა დაუჭირა მხარი, დღესაც ისევე აქტუალურია.

საბჭოთა კავშირი კვლავაც ყოველნაირად ეცდება, რომ თავიდან აცილოს კაცობრიობას ბირთვული ომის საფრთხე. ამ მიზნით მან გადადგა ისეთი ისტორიული მნიშვნელობის ცალმხრივი ნაბიჯი, როგორიცაა გადაწყვეტილება, პირველმა არ იხმაროს ბირთვული იარაღი, და სხვა ბირთვულ სახელმწიფოებსაც მოუწოდებს მიბაძონ მას. ჩვენი ქვეყანა ნიადაგ კვალავს გზას კონკრეტული მორიგებებისაკენ, რომლებსაც შეუძლიათ შეაჩერონ გამალებული შეიარაღება და შემდეგ უკუღმა შეატრიალონ იგი, ჩააცხრონ საერთაშორისო დაძაბულობის სიმწვავე. საბჭოთა კავშირმა მხარი დაუჭირა ყველა ბირთვული შეიარაღების ან თუნდაც თავდაპირველად მხოლოდ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების არსენალების გაყინვას, წამოაყენა წინადადება შეწყვიტონ ბირთვული იარაღის ყოველგვარი გამოცდა და მრავალი სხვა ინიციატივა, რომლებიც ძალაში რჩება და მტრობისა და შეიარაღების გაძლიერების პოლიტიკის რეალური ალტერნატივაა.

საბჭოთა სახელმწიფოს ეს სამშვიდობო ინიციატივები ეხმიანება იმ წინადადებებსა და მოთხოვნებს, რომლებსაც აყენებენ საერთაშორისო მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის უფართოესი ფენები.

დღევანდელი საშიში მდგომარეობა მოითხოვს ომის საწინააღმდეგო ძალების კიდევ უფრო მძლავრ და სოლიდარულ გამოსვლებს, რათა განახორციელონ ხალხების ნება იცხოვრონ მშვიდობიანად. დაე, მთელი პლანეტის მებრძოლებს ამხნევებდეს და ყველა კეთილი ნების ადამიანს მოქმედებისათვის მოუწოდებდეს თქვენი გონებისა და გულის ხმა, კაცობრიობის სინდისის ხმა!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

მოწინავეთა მხარდამხარ

მიმდინარეობს თბილისის „ელექტროძრავის“ ქარხნის მთლიანი განახლება. მონტაჟდება ახალი დიდმწარმოებლური ავტომატური ხაზები, სხვა მოწყობილობა. რეკონსტრუქცია თვითმიზანი როდია. მისი დამთავრების შემდეგ ქარხნის სიმძლავრე გაორკეცდება, ხოლო აქ დამზადებული ძრავები მეტოქეობას გაუწევს სამამულო და საზღვარგარეთული წარმოების საუკეთესო ნიმუშებს.

რეკონსტრუქციასთან ერთად საწარმოში უველაფერი კეთდება მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმავალდებულებათა შესრულებისათვის. დიდი გამარჯვების 40 წლისთავის, სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავის, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ქარხნის ათობით მუშა.

სურათზე: № 1 საამწყობო საამქროს მოწინავე ხარატი, შრომის დიდების ორდენოსანი რამაზ მაღრაძე.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა სოციალისტური ინტერნაციონალის განიარაღების საკონსულტაციო საბჭოს

22 მარტს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა სოციალისტური ინტერნაციონალის განიარაღების საკონსულტაციო საბჭოს, რომლის შემადგენლობაში არიან:

კალევი სორსა — სოცინტერნის ვიცე-თავმჯდომარე, განიარაღების საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პენტი ვიაანანენი — სოციალისტური ინტერნაციონალის გენერალური მდივანი, ვალტერ ჰაკერი (ავსტრია) — სოცინტერნის განიარაღების საკონსულტაციო საბჭოს მდივანი, რობინ სირსი (კანადა) — სოციალისტური ინტერნაციონალის გენერალური მდივნის მოადგილე, ჯენი ლიტლი — დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის მდივანი საერთაშორისო საკითხებში, ანდრიას ფონ ბიულოვი — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობასთან არსებული უშიშროების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ჰაინრიხ ბუზბინდერი — შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის უშიშროების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტისატო ტატებაიასი — იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ფრანსუა გოდემენტი — საფრანგეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი, ანტონიო გარსია პაგანი — ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის წარმომადგენელი, ესპანეთის პარლამენტის დეპუტატთა პალატის საგარეო-პოლიტიკური კომისიისა და თავდაცვის საკითხთა კომისიის წევრი, სატიკო ტაგუჩი — საერთაშორისო ბიუროს მდივანი, იაპონიის დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის საგარეო-პოლიტიკური კომისიის წევრი, ლაური კანგასი — ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მდივანი საერთაშორისო საკითხებში, ალან როსასი — ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ექსპერტი განიარაღების პრობლემებში, რიიტა კორხონენი — გაზეთ „სუომენ სოსიალი დემოკრატის“ რედაქტორი.

გამართულ საუბარში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

ქ. სორსამ მიულოცა მ. ს. გორბაჩოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩევა. ქ. სორსამ გააშუქა საბჭოს საქმიანობა გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და შეწყვეტის პრობლემათა გადაჭრის ინტერესებისათვის. მან თქვა, რომ მოსკოვში გამართული შეხვედრების შემდეგ საკონსულტაციო საბჭო ვაშინგტონს ეწვევა ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან სასაუბროდ. სოციალისტურ ინტერნაციონალში შემავალი პარტიები შეშფოთებული არიან მსოფლიოში შექმნილი სიტუაციის, განსაკუთრებით შეიარაღების განუწყვეტელი ზრდის გამო. სოცინტერნის საკონსულტაციო საბჭო ილაშქრებს, კერძოდ, კოსმოსური სივრცის მილიტარიზაციის წინააღმდეგ. გამოითქვა იმედი, რომ საბჭოთა კავშირი შეერთებულ შტატებთან ერთად ყველა ღონისძიებას იხმარს, რათა არა მარტო შეიზღუდოს, არამედ საერთოდ შეწყდეს გამალებული შეიარაღება. ქ. სორსამ განაცხადა, რომ სოცინტერნში შემავალი სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები ხელს შეუწყობენ ამას.

აღინიშნა, რომ გამალებული შეიარაღების შეზღუდვის პრობლემა ეხება არა მარტო სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, არამედ მთელ კაცობრიობასაც. ქ. სორსამ თქვა, რომ ამ საქმეს შეუძლიათ შემატონ წვლილი და უნდა შემატონ კიდეც პატარა ქვეყნებმა, ნეიტრალურმა და მიუმხრობელმა სახელმწიფოებმა. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახლანდელი ჟენევის მოლაპარაკების მონაწილეთა მიმართ გამოითქვა სურვილი ყველაფერი იღონონ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბირთვული კატასტროფა. 1985 წელი, ხაზი გაუსვა ქ. სორსამ, — ეს არის გადამწყვეტი წელი, როდესაც უნდა მოვიმოქმედოთ ყველაფერი, რაც ძალგვიძს, რათა ავლაგმოთ გამალებული შეიარაღება. დასასრულ ქ. სორსამ მადლობა მოახსენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას მოსკოვში საკონსულტაციო საბჭოს მასპინძლობისა და გამართული ნაყოფიერი მოლაპარაკებისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური გეზი ურყევი რჩება, და ეს დადასტურდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის მარტის პლენუმზე. საბჭოთა კავშირი განუხრელად ივლის მშვიდობისა და პროგრესის კურსით.

შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ მსოფლიოში ერთობ დამაფიქრებელი ვითარება შეიქმნა. იზრდება ბირთვული ომის საფრთხე. გამალებული შეიარაღება, თუ ამთავითვე არ ავლაგმეთ, შეიძლება გადავიდეს თვისებრივად ახალ ფაზაში, როდესაც კონტროლს დაუქვემდებარებელი პროცესები დაიწყება. გარდა ამისა, მდგომარეობას ართულებს წინასწარგანზრახული მოქმედება, რომლის მიზანია ძირი გამოუთხაროს საერთაშორისო ნდობას, გაამწვავოს კონფრონტაცია ყველა მიმართულებით. მიმართავენ სამხედრო მუქარას, აშკარა ჩარევას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საქმეებში მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცას არ ეპიტნავება თანამედროვე სამყაროს რეალობანი.

მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარული საზოგადოებრიობა მოითხოვს ბოლო მოეღოს საშიშ გამალებულ შეიარაღებას, აღმოიფხვრას ომის საფრთხე. ამასთან დაკავშირებით დიდ იმედებს ამყარებენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე, რომელიც ახლახან დაიწყო ჟენევაში.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ ამ მოლაპარაკების მიზანი, როგორც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ განცხადებაშია ჩაწერილი, იქნება ეფექტიანი მორიგებათა შემუშავება, რათა თავიდან იქნეს აცილებული გამალებული შეიარაღება კოსმოსში და შეწყდეს იგი დედამიწაზე, შეიზღუდოს და შემცირდეს ბირთვული შეიარაღება, დამკვიდრდეს სტრატეგიული სტაბილურობა. საბოლოო ანგარიშით, მხარეთა აზრით, მოლაპარაკებას უნდა მოჰყვეს ბირთვული იარაღის ლიკვიდაცია მთლიანად და ყველგან.

ჟენევის მოლაპარაკების პროგრესი, მისი შედეგიანობა, ხაზი გაუსვა მ. ს. გორბაჩოვმა, უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად განუხრელად დაიცავს ორივე მხარე მიღწეულ მორიგებას მოლაპარაკების ყველა ნაწილის საგნისა და მიზნების შესახებ. საბჭოთა კავშირი, თავის მხრივ, ყოველ ღონეს იხმარს აღნიშნული მორიგების განსახორციელებლად. ამერიკის მხარის გეგმებზე ვიმსჯელებთ მისი პრაქტიკული მოქმედების მიხედვით. საჭიროა, ყოველმა მხარემ გამოიჩინოს კეთილი ნება, მზადყოფნა გონივრული კომპრომისებისათვის და, რაც მთავარია, მკაცრად იქნეს დაცული თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპები.

ჩვენ გადაჭრით წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ მოლაპარაკება გადაიქცეს რაღაც შირმად გამალებული შეიარაღების შემდგომი დაჩქარების შესანიღბად. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი აყენებს წინადადებას გაიყინოს მხარეთა ბირთვული არსენალები, შეწყდეს რაკეტების შემდგომი განლაგება. კერძოდ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების შეწყვეტა საბჭოთა საპასუხო ღონისძიებათა ზრდის იმავდროულ შეწყვეტასთან ერთად სერიოზულად შეუწყობდა ხელს ჟენევაში განსახილველ საკითხთა მთელი კომპლექსის გადაწყვეტას.

ბირთვული ომის თავიდან აცილებას ხმარდება თანამედროვეობის სულ სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების ღონისძიებანი. ამ მიზნებს ემსახურება ფართო მასშტაბის მშვიდობისმოყვარული ინიციატივები, რომლებიც წამოაყენეს საბჭოთა კავშირმა, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებმა. ისინი ესატყვისება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, რომლებიც სახელმწიფოთა მსოფლიო გაერთიანების შეხედულებებს გამოხატავენ. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საზოგადოებრიობა და ხელმძღვანელები ნათლად მოითხოვენ დავუბრუნდეთ დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, შევწყვიტოთ გამალებული შეიარაღება, განვავითაროთ პოლიტიკური დიალოგი და სახელმწიფოთა თანამშრომლობა. ამისათვის მტკიცედ იბრძვის ომის მოწინააღმდეგეთა მოძრაობა, რომელიც დღეს ბევრ ქვეყანაში დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალად იქცა. ფართოდ იკიდებს ფეხს იმის შეგნება, რომ ბირთვულ ხანაში სახელმწიფოთა უშიშროება ვერ დაეფუძნება ძალას ან ძალით მუქარას. იგი შესაძლებელია მხოლოდ, როგორც საყოველთაო უშიშროება. ყოველივე ეს განამტკიცებს რწმენას, რომ ჯეროვანი ძალისხმევის პირობებში შეიძლება მივაღწიოთ ვითარების შემობრუნებას, საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებას.

ჩვენ ვიცით, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, სოცინტერნის განიარაღების საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის ამბავი, ვაფასებთ მის მისწრაფებას ხელს უწყობდეს კონსტრუქციულ დიალოგს, მოლაპარაკებას. სოცინტერნის პარტიებს, მათი პოლიტიკური წონისა და გავლენის მეოხებით შეუძლიათ მნიშვნელოვანწილად შეუწყონ ხელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, გაზარდონ თავიანთი წვლილი ბირთვული კატასტროფისაგან კაცობრიობის ხსნის საქმეში. საერთაშორისო ვითარება დაბეჯითებით მოითხოვს, რომ მუშათა და დემოკრატიულმა მოძრაობებმა აქტიური და ქმედითი ძალისხმევა გამოიჩინონ ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, თავის მხრივ, მზად არის აქტიურად ითანამშრომლოს მთელ მშვიდობისმოყვარულ საზოგადოებრივ ძალებთან, მათ შორის, სოცინტერნში შემავალ პარტიებთანაც, — ეს არის ჩვენი მტკიცე და უცვლელი კურსი, რომელსაც კვლავაც განუხრელად განვახორციელებთ.

საუბარმა მეგობრული, კონსტრუქციული სულისკვეთებით ჩაიარა. (საქინფორმი).

ენერგია — სოფელს

„ПРАВДА“

ასეა დასათაურებული გაზეთ „პრავდის“ 1985 წლის 22 მარტის ნომერში გამოქვეყნებული მოწინავე სტატია, რომელშიც კერძოდ, ლაპარაკია იმაზე, რომ სოფლად ელექტროდენის გამოყენება საკმაოდ სოლიდურ ეფექტს იძლევა.

ხაზების, სატრანსფორმატორო ქვესადგურების ასაშენებლად, მათი რეკონსტრუქციისათვის და შესაკეთებლად შესაბამისი სამინისტროები და უწყებები საკმარისი რაოდენობით არ გამოყოფენ ხოლმე კაპიტალურ დაბანდებებსა და მატერიალურ რესურსებს. ამასთან, სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტროს ქვეგანაყოფები ამ მიზნით გამოყოფილ სახსრებს ყოველთვის ვერ ითვისებენ. მიმდინარე ხუთწლედში, მაგალითად, არ აშენებულა, ან არ შეკეთებულა ათიათასობით კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზი, ასობით სატრანსფორმატორო ქვესადგური. ამ მხრივ ჩამორჩენილთა შორის დასახელებულია „საქმთავარენერგოს“ სამმართველოს საწარმოებიც.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა სთხოვა „საქმთავარენერგოს“ სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილეს ზ. აბაშმაძეს განემარტა, რამ გამოიწვია ჩამორჩენა და რა კეთდება მდგომარეობის გამოსასწორებლად.

—ასეთი ვითარება,—განაცხადა მან, — უპირველესად დაკავშირებულია ხუთწლედის პირველი და მეორე წლის გეგმების შეუსრულებლობასთან. საქმე ის არის, რომ ჩვენი სისტემისა და რუსეთის ხე-ტყის გამყიდველი საწარმოებიდან ელექტროგადამცემი ხაზებისათვის განკუთვნილი ბოძების მხოლოდ 47-48 პროცენტი მივიღეთ.

შემდგომ პერიოდში სიტუაცია შეიცვალა: რეკონსტრუქციის შედეგად გავზარდეთ „საქმთავარენერგოს“ მარნეულის საწარმოს სიმძლავრე, რომელიც რკინაბეტონის ბოძებს უშვებს და ამიტომ შარშანწინ და შარშან ელექტროგადაცემის ხაზების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმებს ყოველთვის მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ვასრულებდით. გეგმებს ამ მიმართულებით წლეულსაც უთუოდ გადაჭარბებით შევასრულებთ. რაც შეეხება სატრანსფორმატორო ქვესადგურებს, ამ მხრივ მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგიდან დღემდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ გეგმა არ შესრულებულიყოს. ასე იქნება მომავალშიც.

მიფრინავს რვა თანამგზავრი

1985 წლის 21 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოს-1635“, „კოსმოს-1636“, „კოსმოს-1637“, „კოსმოს-1638“, „კოსმოს-1639“, „კოსმოს-1640“, „კოსმოს-1641“, „კოსმოს-1642“. რვავე თანამგზავრი ორბიტაზე გაიყვანა ერთმა მატარებელმა რაკეტამ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

საკოორდინაციო - გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება: მეცხოველეობა და კომუნისტები

ლაგოდეხის რაიონი ერთ-ერთი მრავალდარგოვანი რაიონთაგანია. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რესპუბლიკაში წარმოებული აბრეშუმის პარკის 17.1 და თამბაქოს 88.1 პროცენტი სწორედ ლაგოდეხელ მშრომელთა ანგარიშზეა. შარშან აქ სავეგმო 820 ტონაზე 8 ტონით მეტი აბრეშუმის პარკი დაამზადეს. მაგრამ მეთამბაქოეებმა გვარიანად წაიბორძიკეს: 7800 ტონა საგეგმოს 2600 ტონა თამბაქოს ფოთოლი დააკლეს. მძიმე მდგომარეობაა ბოსტნეულის დამზადებაშიც—შარშან გეგმის შესრულება მხოლოდ 56 პროცენტით უზრუნველყვეს.

და მაინც რაიონის სახალხო მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი დარგი მეცხოველეობაა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ აქ პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები დამაფიქრებელ გულგრილობას იჩენენ.

მაინც რა მდგომარეობაა რაიონის საზოგადოებრივ მეცხოველეობაში? ფერმებში ბუღალტრული და ზოოტექნიკური აღრიცხვისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება; ხანაშენე დეკეულების უხეირო მოვლა-პატრონობა; პირუტყვის მასობრივი ბერწობა; ინვენტარიზაციისა და კომპლექსური დოკუმენტური რევიზიის დაუდევრად მოწყობა; მსხვილფეხა პირუტყვის დანაკლისი; ხანაშენე პირუტყვის ჯგუფიდან ჯგუფში თვითნებურად გადაყვანა და სხვა.

აი, სწორედ აქ ჩამოთვლილი დარღვევები ჰქონდა მხედველობაში დაშვებული უხეში დარღვევებისათვის. ახლა დავდოთ ქუდი და ვთქვათ სამართალი: ხელმძღვანელი და მთავარი სპეციალისტები, თანაც კომუნისტები, ასე უსულგულოდ რომ ეკიდებიან თავიანთ ღვიძლ საქმეს, მაშინ რიგით მშრომელს რაღა მოვთხოვოთ?...

განცვიფრებას იწვევს თვით პარტიის რაიკომის პოზიციაც: აბა, დააკვირდით დასჯილ კომუნისტებს, თუ მათში ერთი პარტიული ორგანიზაციის მდივანი მაინც ერიოს. არადა, ეს უნებლიეთ ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს რაიონის თექვსმეტ კოლმეურნეობაში საერთოდ არც კი არსებობდეს პარტიული ორგანიზაცია, თითქოს კოლმეურნეობის სამეურნეო მაჩვენებლებისა და საშემსრულებლო დისციპლინისათვის ზრუნვა, შესრულების შემოწმება და კონტროლი სულაც არ მოეთხოვებოდეს პარტიული ორგანიზაციის მდივანს. ვინ უნდა იზრუნოს ფერმებში პარტიული გავლენის გასაძლიერებლად, კომუნისტების, ყველა მეცხოველის პასუხისმგებლობის ასამაღლებლად? „პარტიული კომიტეტის უშუალო ამოცანა ის არის, — აღნიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ შარშან გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-18 პლენუმზე, — რომ ამჩნევდნენ სამეურნეო ხელმძღვანელის ნაკლოვანებებს, მხარს უჭერდნენ ამ ხელმძღვანელებს, თუმცა როცა საჭიროა, ამხანაგურად აკრიტიკებდნენ, რჩევას აძლევდნენ".

… უტყუზე საგეგმო 80 სულის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 56 ხბო, რაც 12 სულით ნაკლებია საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელზე, ყოველ ას ძუძზე კი საგეგმო 1000 გოჭის ნაცვლად— 729 სული. ეს წინა წლის მაჩვენებელზე ბევრად უარესია.

აი ასეთ სურათზე ტრადიციისამებრ იტყვიან ხოლმე: კომენტარი ზედმეტიაო. მაგრამ, ვფიქრობთ, ამჯერად უნდა დავარღვიოთ ეს ტრადიცია და საწინააღმდეგო მოსაზრება გამოვთქვათ: პირიქით, სწორედ ახლაა საჭირო და აუცილებელი კომენტარი.

პირუთვნელად და გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ მეცხოველე…

… აკეთებს პარტიული ორგანიზაცია ჩამორჩენის დასაძლევად? ბევრს არაფერს! პარტიული კრებები გადატვირთულია სამეურნეო საკითხების ვალმოსახდელი განხილვით. უკანასკნელი პარტიული კრებაც 1984 წლის 23 აგვისტოთი თარიღდება! იქიდან მოკიდებული, წლევანდელ შუა თებერვლამდე ოქმების ჟურნალში სიტყვაც არარავის ჩაუწერია!

რა ვქნათ, — თავი იმართლა ვ. ბაძგარაძემ, — მინდვრად იმდენი საქმეებია, ამისათვის ვეღარ ვიცლით!

პარტიული კომიტეტის მდივნის ნათქვამი აშკარად მეტყველებს …

… ამით დაკმაყოფილდნენ, ხოლო იმ კომუნისტების ანგარიშის მოსმენა, ვისი უხეირო მუშაობითაც კოლმეურნეობის სხვადასხვა დარგი ჩამორჩა, აზრადაც არ მოსდით.

სამშენებლო დისციპლინის და პარტიული მომთხოვნელობის შესუსტების ნამდვილ ნიმუშად გამოდგება რაიონის საქვებმომპოვებლების გულგრილობა და ინერტულობა. მიუხედავად იმისა, რომ შარშან ივლისში გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე უხეში საკვებისა და თივის დამზადებაში სერიოზული ჩამორჩენისათვის გაკრიტიკებუ…

დამაფიქრებელი გულგრილობა

◆ აუჩქარებლობა დამკვრელურ უბანზე ◆ უკონტროლობა ხელს უწყობს დანაშაულს ◆ დაუწერელი ოქმები და თავმინებებული პარტორგანიზაცია ◆ უკომუნისტებო ფერმები ◆ მარტივი ციფრის ძებნაში...

ობაში ასეთი სერიოზული ჩავარდნა სწორედ უპირველესად პარტიულ-ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესუსტებამ, შრომის, საშემსრულებლო და სახელმწიფო დისციპლინის დაბალმა დონემ განაპირობა. ფერმებში არ იგრძნობა კომუნისტების ხელი, მათი ინიციატივა. და არც შეიძლება იგრძნობოდეს, ვინაიდან რაიონის მეცხოველეობის 60 მსხვილ ფერმაში მხოლოდ 86 კომუნისტი ილვწის. რა გამოდის აქედან? ის, რომ ზოგიერთ ფერმაში თუ თითო-ოროლა კომუნისტი ტრიალებს, ზოგან სულაც არ არიან …

იმაზე, რომ კოლმეურნეობაში ორგანიზაციულ-პარტიული საქმეებისათვის თავს ნაკლებად იწუხებენ, სწორად არ ესმით, რომ სწორედ „მინდვრად უამრავი საქმის" თავმოსაბმელად საჭიროა ქარს კი არ გავატანოთ პარტიულ კრებაზე ნათქვამი და დასახულ…

… ლი იყო ლაგოდეხის რაიონიც, აქედან საჭირო დასკვნები არ გამოუტანიათ. არც აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელებს, არც კოლმეურნეობების მესვეურებს, არც თვით საქვებმომპოვებლებს. ამიტომ შარშან ვერ შეასრულეს უხეში …

[illegible]

ჯ. მიქრუშაძე,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

გაზაფხული აჩქარებს მიწათმოქმედს

სამხრეთ ოსეთში საგაზაფხულო მინდორს 5454 ჰექტარი უჭირავს, 3470 ჰექტარზე დათესილია მარცვლეული კულტურები. ამ დღეებში მექანიზებულ რგოლებს ნათესებში მინერალური სასუქები შეაქვთ.

ცხინვალის რაიონის ერედვის მერძევეობა-მეხორცეობის საბჭოთა მეურნეობის მხვნელ-მთესველები სტაბილურად უხვი მოსავლის მიღების ოსტატები არიან. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მათ განზრახული აქვთ ყოველ ჰექტარზე გალეწონ საშუალოდ 30 ცენტნერი მარცვალი, გეგმით გათვალისწინებული 24 ცენტნერის ნაცვლად.

სურათებზე: მექანიზატორები გ. გოგიშვილი და გ. ბერუაშვილი სოციალისტური შეჯიბრების მეწინავეთა შორის არიან; ერედვის საბჭოთა მეურნეობის მექანიზებულ რგოლს ნიადაგში შეაქვს აზოტიანი სასუქები.

ლ. გუსოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).





… ხოვს საერთო-საკავშირო (რესპუბლიკური) მასშტაბით მართვის დარგობრივი ფორმის შენარჩუნებას.

სამშენებლო კომპლექსის მარ… აზორციელებენ სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციები: მშენებლობის სამინისტროს ტრესტი — „სპეცმშენი", საკავშირო …

… სამინისტროები გაერთიანდნენ და 1985 წლის იანვრიდან მოქმედებს ერთი მძლავრი საიჯარო ორგანიზაცია — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო.

საქართველოზე უნდა ვიმსჯელოთ როგორც მძლავრი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის მქონე ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მქონე რესპუბლიკაზე, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანები შრომის ტერიტორიული დანაწილების ფარგლებში და მთელი მეურნეობის …

… თვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა დარგობრივი და ტექნოლოგიური პროფილის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საგეგმო მოცულობის მიხედვით საერთო სამშენებლო, სამრეწველო, სამოქალაქო საბინაო და სხვა სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების გაერთიანება.

კონცენტრაციის გზით

ავამაღლოთ მშენებლობის ეფექტიანობა

ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფას წინ უნდა უძღოდეს მოქმედი სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების განლაგება და საწარმოო სიმძლავრეების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზების, საკოორდინაციო სისტემის, სამშენებლო პროდუქციაზე …

… მომების ამგვარი უწყებრივი დაქუცმაცება არც ორგანიზაციული და არც ეკონომიკური თვალსაზრისით არაა გამართლებული.

ჯერ ერთი, მუშათა კადრები და სათანადო მანქანა-მექანიზმები გაფანტულია მრავალ სამშენებლო და არასამშენებლო ორგანიზაციებში და მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი მინიმუმამდეა შემცირებული. მეორეც, იმის გამო, რომ ისინი სამუშაოთა მცირე მოცულობებს განაგებენ და მათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მეტად არათანაბარია.

„სპეცმშენის" ტრესტმა მაგალითად, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საწარმოო გეგმა 1984 წელს საკუთარი ძალებით შეასრულა 98,6 პროცენტით (აქ ერთი სამართველოს მიერ შესრულებული სამუშაოთა მოცულობა საშუალოდ მილიონ მანეთს არ აღემატება, ხოლო ზოგიერთი მათგანის კიდევ უფრო ნაკლებია). ერთი მომუშავის საშუალო ხელფასის ზრდა წინ უსწრებს გამომუშავების ზრდას 1,5 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება აღნიშნულ პერიოდში გაძვირდა …

[illegible]

ქ. ბერუაშვილი,
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს …

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებისათვის გაწეული დიდი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაარსების 110 წლისთავთან დაკავშირებით **ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1985 წლის 20 მარტი.

„პარტიული სიტყვა" № 5

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის" მორიგი, მეხუთე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია მ. ვ. ზიმიანინის სტატია — იდეოლოგიური, საავიტაციო-მასობრივი მუშაობის ორგანიზაციის საკითხები.

რუბრიკით „ჩვენი კალენდარი" გამოქვეყნებულია მ. მრევლიშვილის წერილი — ფიქრები დიდ დედაზე.

ანშლაგით „თუ კომუნისტი გქვია სახელად!" დაბეჭდილია კ. დოლიძის — ერთგულება.

განყოფილებაში — „პარტიული სიტყვის" — რეიდი — თქვენ გაეცნობით სარეიდო ბრიგადის მასალებს საერთო სათაურით — ზამთარი ისევ მოვა.

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „წელი დამამთავრებელი, წელი შემხვედრი"; „ჩვენი პუბლიკაცია"; „პარტიული სწავლება"; „ამ ტრიალ ქვეყანაზე"; „ჟურნალის კრიტიკული გამოსვლის შემდეგ: გამოძახილი"; „ხუმრობა იქით იყოს".

„კომუნისტი" ეძიებს რეზერვებს

რძის შემცვლელი იგივე რძეა

რატომ არ იყენებენ ზოგიერთ ფერმაში სიახლეს

რძე და რძის ნაწარმი ადამიანის შეუცვლელი საკვებია. ამ პროდუქტებს მომხმარებელი წლითიწლობით სულ უფრო მეტს თხოულობს. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ დროს მეცხოველეობის ფერმებში რძის დამზადებამ ერთობ იმატა, მოსახლეობას ჯერ კიდევ სამყოფად ვერ ვაწვდით ამ პროდუქტებს.

ამიტომ რძის დამზადების გადიდება ჩვენი მეცხოველეების საპატიო ამოცანაა. ცნობილია, რომ რძე დიდი რაოდენობით იხარჯება თვით ფერმებში მოზარდეულის გამოსაკვებად. თითოეულ ხბოს საშუალოდ 200-250 კილოგრამი მოუხდელი რძე სჭირდება. ამ ციფრს თუ ხბოების საერთო რაოდენობაზე გადავიანგარიშებთ, დავრწმუნდებით, რომ რესპუბლიკაში მოუხდელი რძის 15-16 პროცენტზე მეტი ხბორების გამოსაკვებად იხარჯება; ეს პრობლემა რომ გადაწყდეს, მკვეთრად უნდა შევამციროთ ხბორების გამოსაკვებად მოუხდელი რძის გამოყენება. უკანასკნელი წლების მონაცემებით, ჩვენს რესპუბლი…

… ბოლნისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, ლენინგორის, თიანეთის და თეთრი წყაროს რაიონების მეცხოველეობის მეურნეობებში.

სამწუხაროდ, ყველგან ასე არ არის. მთელი რიგი მეურნეობები არ იყენებენ ამ მეტად საჭირო საკვებს. რატომღაც ზოგან ამჯობინებენ თითოეულ ხბოზე ულუფის მიხედვით 250-320 კილოგრამი მოუხდელი რძე დახარჯონ. ამას იმ მოტივით ამართლებენ, თითქოს, ფერმებში არ ჰქონდეთ წყლის გასაცხელებელი დანადგარები და სხვა. ზოგიერთი მეურნეობის ხელმძღვანელი კი, რომ იტყვიან, პირველი მომვლელის ფეხის ხმას არის აყოლილი — აქაოდა, რძის შემცვლელი ხბორებს კუჭს უშლისო. არც მეტი, არც ნაკლები, ამ შემთხვევაში, …

[illegible]

… ზე ახალგიური საამქროები ამოქმედდა გურჯაანის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ხობის, საჩხერის და აბაშის რაიონებში. ასე რომ, მოუხდელი რძის მიღების დიდი რეზერვები უკვე გვაქვს, და თუ მას მთლიანად და გეგმიანად გამოვიყენებთ, დიდძალ ეკონომიას მივიღებთ. რძის შემცვლელის გამოყენებას მთელი რიგი რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში სერიოზულად და გულმოდგინედ მოეკიდნენ, რადგან ამით დაინტერესებული არიან, რაიონების პარტიული და სამეურნეო ორგანოები. ასეა გარდაბნის რაიონის კრწანისის კომპლექსში, კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტულ მეურნეობაში, …

… ვფიქრობთ, ყოველივე ზემოაღნიშნული ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ ბრკოლდება ზოგიერთ მეცხოველეობის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვა და ამით გზა ეხშობა ისეთი რეზერვების ამოქმედებას, რომლებიც ხელს უწყობს პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მატებას, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

თ. კობახიძე,
საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქარხნის დირექტორი.

სახელმძღვანელოები შკეთესი იქნება

თბილისში მუშაობა დაამთავრა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელების, სახელმძღვანელოებითა და სასწავლო- მეთოდიკური ლიტერატურით სკოლების უზრუნველყოფის საკითხებისადმი მიძღვნილმა საკავშირო თათბირ-სემინარმა. სემინარში სახალხო განათლების სისტემის მუშაკებთან ერთად მონაწილეობდნენ წიგნის ცენტრალური და რესპუბლიკური გამომცემლობებისა და წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციების წარმომადგენლები. საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სკოლების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილემ **ნ. ერმოლაევამ** თქვა.

— ახლა ქვეყნის გამომცემლობებს შეუძლიათ მთლიანად დააკმაყოფილონ სკოლების მოთხოვნილება სახელმძღვანელოებზე, და თუ სადმე კიდევ იგრძნობა მათი ნაკლებობა, ეს აიხსნება სასწავლო ლიტერატურის გავრცელების პრობლემებით.

სკოლის რეფორმა ამოცანად გვისახავს გავაუმჯობესოთ სახელმძღვანელოთა ხარისხი.

საქართველოში სახელმძღვანელოებისა და სასწავლო- მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემისა და გავრცელების მდიდარი გამოცდილებაა შეძენილი. აქ ბევრი კეთდება იმისათვის, რომ საგამომცემლო საქმიანობა თვისებრივად ახალ დონეზე ავიდეს. გამომცემლობა „განათლება" განაგრძობს მუშაობას ახალ სახელმძღვანელოებზე, ხელახლა გამოსცემს ძველებს სკოლების მუშაკთა სურვილების გათვალისწინებით.

საქართველო ერთ-ერთი პირველი გადავიდა საბიბლიოთეკო კოლექტორების საშუალებით წიგნების განაწილების ახალ ფორმაზე. ეს კოლექტორები დამაკავშირებელი რგოლი გახდა გამომცემელსა და მომხმარებელს შორის, მუშაობის ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად დავგეგმოთ და უზრუნველვყოთ საჭირო ლიტერატურით სკოლების მომარაგება.

სკკპ XXVI ყრილობამ დასახა: რა გაკეთდა?

„ავამაღლოთ საგარეო ეკონომიკური კავშირურთიერთობის ეფექტიანობა. უზრუნველვყოთ სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან. გავაფართოოთ თანამშრომლობა განვითარებად ქვეყნებთან და ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან".

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებიდან".

ბოლო ოთხ წელიწადში თითქმის ოცდაათი პროცენტით გაიზარდა საქართველოს სს რესპუბლიკიდან საექსპორტო მიწოდების მოცულობა. რესპუბლიკის მარკიანმა საქონელმა ცხადყო

შარშან მოსკოვში გაიმართა, ფართო პერსპექტივები დაუსახა უშუალოდ მოკავშირე რესპუბლიკებთან მოძმე სახელმწიფოების პირდაპირ თანამშრომლობას. როგორია ეს პერსპექტივები ჩვენს რესპუბლიკასთან დაკავშირებით?

საქართველოს სს რესპუბლიკა ერთ-ერთია იმ ოთხ მოკავშირე რესპუბლიკას შორის, რომლებსაც პირდაპირი კონტაქტები აქვთ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასთან. ფართოა ჩვენი თანამშრომლობის სფერო: აგროსამრეწველო კომპლექსის მართვით დაწყებული და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებით დამთავრებული. კერძოდ, ამ თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია უნგრელი სპეციალისტების დახმარებით განახლებული წყნეთის სამკერვალო ფაბრიკის საბავშვო ტანსაცმლის ახალი მოდელები. მტკიცე მეცნიერულ-ტექნიკური კონტაქტები დამყარდა საქართველოსა და უნგრეთის მონათესავე ინსტიტუტებსა და საწარმოებს შორის.

შარშან შემოდგომაზე საქართველოში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკისა და ტექნიკის დღეები. მათ აგრეთვე გამოავლინეს ორმხრივი დაინტერესება პირდაპირი კავშირურთიერთობის დამყარებითა და განვითარებით.

...

რესპუბლიკის მარკით

...

მებული სრულყოფა, მოდერნიზაცია. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს საექსპორტო მიწოდება უახლოეს წლებში შეიძლება გადიდდეს განსაკუთრებული მეცადინეობისა და კაპიტალდაბანდებების გარეშე, შინაგანი პირობებში იგი შეიძლება გახდეს რესპუბლიკაში ვალიუტის შემოსვლის დიდმნიშვნელოვანი წყარო.

საუბარი ჩაიწერა საქინფორმის კორესპონდენტმა

მ. ხანანაშვილმა.

ექსპერიმენტი: გამოცდილებიდან პრაქტიკისაკენ

გაკვეთილები... მშობლებისათვის

...

რომლებითაც ცდილობს მათს გადაწყვეტას. აქ მნიშვნელოვანია არა მარტო დასკვნები, არამედ პირადი გამოცდილებაც.

ექსპერიმენტი, რომელიც მეცნიერებმა წლევანდელ სასწავლო წელს დაიწყეს, მარტივიდან რთულისაკენ მიმდინარეობდა. თავიდან იმართებოდა თავისუფალი საუბრები აღზრდის შესახებ, აზ-

...

ბა მშობელთა კრებებს სკოლაში. მეორე მხრივ, ურთიერთდაინტერესება, რომელიც უნებლიეთ გიჩნდება, როცა განდობენ საოჯახო საზრუნავს, საქმიან ურთიერთობასაც დაეტყო. ჩვენ უფრო დინჯები, კეთილები გავხდით.

ექსპერიმენტის ბაზაზე აღზრდის თეორიის განყოფილება შეუდგება საქმიან თამაშთა ახალი ციკლის შედგენას. იგი ასახავს დიფერენცირებულ მიდგომას აუდიტორიისადმი, მშობელთა განათლების, მუშაობის პირობების, ბავშვთა ასაკის მიხედვით.

— პროგრამის ამოსავალ წერტილად იქცა სკოლის რეფორმა და რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მშობელთა საზოგადოებების შექმნა — თქვა პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორმა, ფსიქოლოგიის დოქტორმა შალვა ამონაშვილმა. —

...

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

22 მარტი ■ საქდესი იუწყება

აშშ

პენტაგონის საამებლად

პრეზიდენტი „ხელებს უგრეხავს" კონგრესმენებს

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა განმეორებით — დადგენილი პროცედურის შესაბამისად — დაამტკიცა გადაწყვეტილება დააკმაყოფილოს ადმინისტრაციის მოთხოვნა 1985 საფინანსო წლის ბიუჯეტიდან 1,5 მილიარდი დოლარის გამოყოფის შესახებ, რომელიც უნდა მოხმარდეს „მექს" ტიპის კიდევ 21 რაკეტის მშენებლობას. როგორც ცნობილია, წარმოებაში უკვე ჩაშვებულია პირველი ბირთვული დარტყმის ამ ტიპის იარაღის ამდენივე რაოდენობა. ისე, როგორც წინა კენჭისყრის დროს, თეთრი სახლის ნებას დაჰყვა 55 სენატორი. წინააღმდეგ მისცა ხმა 45-მა. მომავალ კვირაში კენჭისყრა გაიმართება წარმომადგენელთა პალატაში. აქ აღნიშნავენ, რომ თავისი მილიტარისტული პროგრამის მხარდაჭერას ადმინისტრაციამ მიაღწია უწინარეს ყოვლისა კონგრესზე ზემოქმედების უპრეცედენტო კამპანიის მეოხებით. სენატში კენჭისყრის წინა დღეებში რ. რეიგანი ინტენსიურ ზეგავლენას ახდენდა კანონმდებლებზე, რათა ეიძულებინა ისინი მოეწონებინათ პენტაგონის მოთხოვნა.

სენატში თავისას რომ მიაღწია, ახლა თეთრი სახლი შეუდგა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დამუშავებას.

აქ გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა რეიგანმა პირდაპირ განაცხადა, ახლა კონგრესის ქვედა პალატის „გამოცდის ჟამი დადგაო", სადაც კენჭისყრის ორი ტური უნდა გაიმართოს. თეთრი სახლის მეთაურმა კატეგორიული ტონით მოითხოვა, რომ კონგრესმენებმა სენატორთა „მაგალითს" მიბაძონ, თორემ ამტკიცებდა იგი, მიმართა რა საკმაოდ გაცვეთილ „არგუმენტს", ჟენევის მოლაპარაკებაზე წარმატების იმედი არ უნდა გვქონდესო.

ამრიგად, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კვლავ ცხადყო, რომ მისი ადმინისტრაცია ჟენევის მოლაპარაკებისადმი მიდგომით და თავისი კონკრეტული მოქმედებით პირწმინდად უარყოფს თავისავე მტკიცებას, თითქოს „ესწრაფვოდეს" ბირთვული არსენალების შემცირებასა და მოსპობას.

იაპონია

უკან დაიხიეს

ტოკიო. იაპონიის მთავრობამ ხელი აიღო ცდაზე პარლამენტის ახლანდელ სესიას მიაღებინოს სამი კანონპროექტი, რომელთა მიზანია პოლიციის უფლებამოსილებათა მნიშვნელოვანი გაფართოება. ეს გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც კონსერვატორთა კაბინეტი დარწმუნდა, რომ მთავრობის კანონპროექტებს არავითარი შანსი არა აქვთ, რომ მოიწონებს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო.

ცხადია, რომ მარცხი განიცადა მმართველი წრეების მორიგმა ცდებმა, თავს მოეხვიათ ქვეყნისათვის ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ სადამსჯელო — რეპრესიული აპარატის შესაძლებლობათა მკვეთრ გაფართოებას. საერთო აზრით, ისინი კონსერვატორებს დასჭირდათ უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ კვლავ შეუტიონ მშრომელთა დემოკრატიულ უფლებებსა და მონაპოვრებს და შეზღუდონ დემოკრატიული ორგანიზაციების საქმიანობა. კანონპროექტები შეიმუშავეს და გადასცეს პარლამენტს ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ, მაგრამ იაპო-

...

ჟენევის მოლაპარაკებაზე

ჟენევა. აქ გაიმართა ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე ჩამოსულ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა პლენარული სხდომა.

ფოტორეპორტაჟი

არგენტინა

მოითხოვენ დასჯას

არგენტინის საზოგადოებრიობა ხელისუფლებისაგან მოითხოვს გამოარკვიოს სამხედრო დიქტატურის წლებში „უგზო-უკვლოდ დაკარგულთა" ბედი და მკაცრად დასაჯოს ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევაში დამნაშავენი. ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტ რაულ ალფონსინის ყოფნის პირველ წელიწადს პოზიტიური შედეგები იქნა მიღწეული დემოკრატიული თავისუფლებების აღსადგენად, მიუხედავად იმისა, რომ ნახევრად გასამხედროებული რეპრესიული აპარატი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის მოსპობილი. გამოძიებულია „უგზო-უკვლოდ დაკარგულთა" (12.000 კაცი) საქმეები, გამოქვეყნდა მსხვერპლთა სიები, აგრეთვე ბევრ იმ პირთა ვინაობა, რომლებიც პასუხს აგებენ ამ დანაშაულობებისათვის, დაპატიმრებული და პასუხისგებაში არიან მიცემულნი სამხედრო ხუნტის წევრები და სამხედრო რეჟიმის ზოგიერთი სხვა მოღვაწე. თუმცა ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი სამართლიანობის მისაღწევად.

სურათზე: იმ ქალთა დემონსტრაცია, რომელთა შვილები სამხედრო მმართველობის დროს დაიკარგნენ.

თავს დაესხნენ საბჭოთა დიპლომატს

დელი. 21 მარტს ინდოეთში საბჭოთა კავშირის საელჩოს ეკონომიკური მრჩევლის აპარატის თანამშრომელს ვ. ი. ხიტრიჩენკოს თავს დაესხნენ. ჩანაკიაპურის დიპლომატიური უბნის რაიონში ავტომანქანას, რომელშიც იგი ცოლთან ერთად იჯდა, უცნობმა პირებმა ტყვია დაუშინეს. ვ. ი. ხიტრიჩენკო მძიმედ დაიჭრა და საავადმყოფოში მიყვანამდე გზაში გარდაიცვალა. მკვლელები მიიმალნენ.

ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ამის გამო გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია: ჩვენ მთლიანად ვგმობთ ამ შემაძრწუნებელ დანაშაულს იმ ქვეყნის წარმომადგენლის მიმართ, რომელთანაც უაღრესად მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ჩვენ ულრმეს თანაგრძნობას და სამძიმარს ვუცხადებთ დაღუპულის ოჯახს და საელჩოს.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ყველაფერს იღონებენ დამნაშავეთა მისაგნებად. ხაზგასმულია, რომ ინდოეთის პოლიციის ხელისუფალნი უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებენ ამ ქვეყანაში საბჭოთა თანამშრომლების უშიშროებას.

...

წინააღმდეგ მიმართული საერთო ინტერესებით". ვაშინგტონი ყოველმხრივ ეხმარება ისრაელს, მაგრამ ამავე დროს ცდილობს თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს არაბული ქვეყნებიც. ამერიკის პოლიტიკისათვის ეს აუცილებელია, რა-

...

ცნობილი. „დაიზღვია" რა თავი ეგვიპტისაგან, ისრაელს საშუალება მიეცა ომი დაეწყო სხვა არაბული სახელმწიფოს — ლიბანის წინააღმდეგ და ამასთან ერთად მიზნად დაისახა ლიბანში მყოფი პალესტინის განთავისუფლების ორ-

...

წრეები. ამ გეგმას არ დაეთანხმნენ არც პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობაში შემავალი მეტი წილი ორგანიზაციები, არც მრავალი არაბული ქვეყანა, ვინაიდან გეგმა არ ითვალისწინებს პალესტინის განთავისუფლების ორგანი-

...

მთავარია ერთიანობა

არაბული ქვეყნების ლიგის შექმნის 40 წლისთავის გამო

...

ნალური პრობლემების წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ არაბთა ერთიანობის მიღწევით, მათი სოლიდარობის განმტკიცებით იმპერიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

კ. ჟლენტი.

...

ვეტას, კერძოდ, გაერთიანების ბაზრებზე ესპანეთისა და პორტუგალიის აგრარული პროდუქციის გასაღებისა და დაჯგუფების 200-მილიან ეკონომიკურ ზონაში ამ ორი ქვეყნის მებადურეთა რეწვის პირობების შესახებ და სხვ.

ტელეტაიპის ლენტიდან

გამოუცხადეს სოლიდარობა

◆ **კუვეიტი. კუვეიტის ეროვნული კრების (პარლამენტი) მორიგ სხდომაზე გულისწყრომით დაგმეს შეერთებული შტატების პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში.**

ამერიკის შეერთებული შტატები, განაცხადა დეპუტატმა ნასერ სარჰომ, არაბთა მთავარი მტერია. მან აღნიშნა ვაშინგტონის ანტიარაბული კურსი, რომელიც მიზნად ისახავს ისრაელისათვის მხარდაჭერის გაფართოებას, თელ-ავივის სიონისტურ ხელმძღვანელობასთან სტრატეგიული ალიანსის განმტკიცებას.

კუვეიტელმა პარლამენტარებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ლიბანელ პატრიოტთა გმირულ ბრძოლას ისრაელ ინტერვენტთა წინააღმდეგ, ისრაელის აგრესიის შედეგების აღმოსაფხვრელად.

გაზეთი „ტაიმსი":

ბრწყინვალედ და პირტყუზული

საბჭოთა საქართველოს მსახიობთა წარმატება

ლონდონი. ბრიტანეთის დედაქალაქში უდიდესი წარმატებით დაიწყო საქართველოს სახელმწიფო ცეკვის ანსამბლის გასტროლები. მაყურებლები, რომლებმაც შეავსეს დედაქალაქის საკონცერტო დარბაზი „დომინიონი", მოხიბლა საბჭოთა მსახიობების დიდმა საშემსრულებლო ხელოვნებამ, ქართული ცეკვების ტემპერამენტმა, ლამაზმა ეროვნულმა კოსტიუმებმა. მქუხარე ტაშით, მოწონების შეძახილებით ხვდებოდნენ მაყურებლები მოცეკვავეთა თითოეულ გამოსვლას, წარმოდგენის შემდეგ კი მოუწყვეს ნამდვილი ოვაცია და დიდხანს არ უნდოდათ მათი სცენიდან გაშვება.

აღფრთოვანებული შეფასება მისცა ქართველი მსახი-

...

შემდეგ კი გაემგზავრებიან ნიუკასლში, ბირმინგემში, კარდიფში, გლაზგოში, ედინბურგსა და დიდი ბრიტანეთის სხვა უდიდეს ქალაქებში. გასტროლები 22 აპრილამდე გასტანს.

ფინეთი

ინტერესით მოელიან

ჰელსინკი. დიდი ინტერესით მოელიან ფინეთში საქართველოს ეროვნული ბალეტის ჩამოსვლას, რომლის გასტროლები გაიმართება 16-22 აპრილს.

ქართული ბალეტი, წერს ფინეთის გაზეთი „ჰელსინგინ სანომატი", ჩვენთან ჩამოვა პირველად, მაგრამ მას აქ მოუთმენლად ელიან, რადგან ქართველ მსახიობთა პროფესიული ოსტატობის უმაღლესი დონე ცნობილია საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ.

გასტროლები დაიწყება ფინეთის დიდ ადმინისტრაციულ, სამრეწველო და კულტურულ ცენტრში — ქალაქ ტამპერეში მუშათა თეატრის ახალ სცენაზე და

...

კვლავ ჩიხი

...

ძმობისა და მეგობრობის საღამო

საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის ა. ფადეევის სახელობის ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გაიმართა პოეზიის საღამო, რომელიც მიეძღვნა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დ. გულიას დაბადების 110 წლისთავს.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ი. სუროვცევმა. — დღევანდელი საღამო, — თქვა მან ერთდროულად ტრადიციულიც არის და ნოვატორულიც, რადგან ასე მასშტაბურად, ასე გამოკვეთილად ჩვენი აფხაზი კოლეგები დღეს პირველად გამოდიან მოსკოველთა წინაშე. სასიამოვნოა რომ აფხაზ პოეტებთან ერთად ამ ზეიმზე ჩამოვიდნენ ქართველი მწერლები, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში ძმური მეგობრობა აკავშირებთ აფხაზ ხალხთან და მის ლიტერატურასთან. ჩვენ სიხარულით მივესალმებით ქართველ მწერლებს კ. კალაძეს, ი. აბაშიძეს, ხ. ბერულავას, ხ. გაგუას, ჭ. ამირეჯიბს...

დარბაზში რუსულ, ქართულ და აფხაზურ ენებზე ჟღერდა აფხაზი პოეტების ლექსები. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ ტ. აჯბა, ვ. ანქვაბი, პ. ბებია, გ. გულია, ა. ჯონუა, ნ. კვიწინია, მ. ლასურია, კ. ლომია, ი. თარბა, ნ. თარბა, შ. ცვიჟბა, დ. ფაჩალია, ი. აბაშიძე, ხ. ბერულავა, თ. ბუაჩიძე, ლ. ვასილიევა, ე. დოლმატოვსკი, ვ. სოლოუხინი, მ. სინელნიკოვი, ე. ნიკინაევსკაია, ფ. ისკანდერი და სხვები.

საღამოს ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომადგენელი თ. ხაჩიძე, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. უბილავა.

აფხაზური პოეზიის საღამო რუსი, ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობისა და ძმობის კიდევ ერთ ზეიმად გადაიქცა.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის" საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

სოფლის კულტურის სახლში

ამბროლაური. (საკ. კორ.). ხიდიკრის სასოფლო კულტურის სახლის თვითმოქმედ კოლექტივში მრავალი მექანიზატორი, მეცხოველე, მევენახე და რიგითი კოლმეურნეა გაერთიანებული. სოფლის სცენაზე მათ არაერთი კონცერტი გამართეს. ახლახან აქაური აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები მეცხოველეობის ფერმის მწყემსებს ეწვივნენ და მათ სპეციალური პროგრამით მომზადებული კონცერტი გაუმართეს. მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება ხვდა ნ. სხირტლაძის, ა. მაისაშვილის და ჟ. სხირტლაძის მიერ შესრულებულ ქართულ ხალხურ სიმღერებს.

აგიტმხატვრული ბრიგადის წევრმა, სოფლის ბიბლიოთეკის გამგემ ნ. ნატმელაძემ მწყემსმწველავებს გადასცა ახალი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები.

კიდევ ერთი აღიარება

ანსამბლი „რუსთავი" საერთაშორისო ფესტივალზე

გაზეთ „კომუნისტის" მკითხველებმა უკვე იციან, რომ მიმდინარე წლის 23 თებერვალს თბილისიდან პარიზს ხალხური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი" რესპუბლიკის სახალხო არტისტის ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით.

თავისი მასშტაბით აქამდე არნახული ეს საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც დაიწყო საფრანგეთის დედაქალაქში 28 თებერვალს, ხოლო შემდეგ გადაინაცვლა შვეიცარიისა და იტალიის ქალაქებში — ჟენევასა და ფლორენციაში, გათვალისწინებულია გაგრძელდეს რამდენიმე თვეს. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნის ხალხური მუსიკის საუკეთესო კოლექტივები.

საბჭოთა კავშირი ხელოვნების ამ დიდ ფორუმზე წარდგა საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და უზბეკეთის ფოლკლორული მუსიკის ოსტატებით, რომ ლებმაც უკვე დაამთავრეს თავიანთი საგასტროლო ტურნე და დაბრუნდნენ სამშობლოში.

მა ამ საერთაშორისო ფესტივალმა, — ამბობს ბადრი თოიძე, — ეს არის ხელოვნებისადმი მისი წმინდა პროფესიული მიდგომა, ყოველგვარი კომერციულობის გარეშე. ანშლაგით მიმდინარე კონცერტებს ძირითადად მუსიკის სპეციალისტები ესწრებოდნენ.

რთული და საინტერესო პროგრამით წარდგა ჩვენი ანსამბლი უცხოელი მაყურებლის წინაშე, რომელიც, ვფიქრობ, გულგრილი არ უნდა დარჩენილიყო ჩვენი გამოსვლების მიმართ. თითოეულ კონცერტზე, რომელიც ორი განყოფილებისაგან შედგებოდა, ვასრულებდით 30-35 სიმღერას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართული ხალხური სიმღერა ასეთი, სრული სახით ჯერ არსად არ წარვიდგენია. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა გრძელმა კახურმა მრავალჟამიერმა (სოლისტები ჰამლეტ გონაშვილი და ბონდო გუგავა), გურულმა „ნადურმა" (კრიმანჭულს ასრულებდა რამინ მიქაბერიძე), მეგრულმა „კუჩხი ბედინერმა" (სოლისტი ნუგზარ გელაშვილი).

კონცერტის პროგრამაში სიმღერების გარდა ჩავრთეთ ქართული ხალხური ინსტრუმენტული მუსიკაც ომარ კელაპტრიშვილის, ტარიელ ონაშვილისა და გენო მუჯირის შესრულებით. გვქონდა აგრეთვე ერთი საცეკვაო ნომერი, რომელსაც ასრულებდნენ სოლისტები მაია დარჩიაშვილი და თამაზ კობახიძე.

პარიზში ჩასვლისთანავე 25 თებერვალს საფრანგეთის რადიომ ჩაიწერა ჩვენი კონცერტი, რომელიც 2-3 თვის შემდეგ გადაიცემა ეთერში. ბოლო კონცერტი ფლორენციაში გავმართეთ 6 მარტს იტალიელი პარტიზანებისათვის. კონცერტის შემდეგ პარტიზანებმა გულთბილი და დასამახსოვრებელი შეხვედრა გაგვიმართეს.

ქართულ მუსიკალურ ფოლკლორთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების გაშუქება მოუხდა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს ანზორ ერქომაიშვილს საფრანგეთის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში და ჟენევაში კონცერტის დაწყებამდე ჟურნალისტებისათვის გამართულ სპეციალურ პრეს-კონფერენციაზე. ენობრივი ბარიერის გადალახვას ადვილად ვახერხებდით ჩვენი თარჯიმნის ვანო ცაგარეიშვილის მეშვეობით, რომელიც კონცერტებზე კონფერანსიეს მოვალეობასაც ასრულებდა ბრწყინვალედ და ახსნა-განმარტებასაც იძლეოდა თითოეული სიმღერის შესახებ.

— ისეთ ღირსშესანიშნავ მოვლენას, რომელიც 4 მარტს მოხდა, ნამდვილად ვერ ავუვლი გვერდს, — განაგრძობს ბ. თოიძე. ამ დღის ჩვენი კოლექტივი მიიწვია რომის ტელევიზიამ, სადაც მონაწილეობა მივიღეთ იტალიაში ძალზე პოპულარულ საათნახევრიან გადაცემაში „ალლო, რაფაელა", რომელსაც უძღვება გამოჩენილი მომღერალი ქალი რაფაელა კარა. ანსამბლის შესრულებით ეთერში გადაიცა გურული „ნადური" და ცეკვა „ქართული". მეორე დღეს კი ჩვენს მსახიობებს თითქმის უკვე ყველა სცნობდა ქუჩებში და ავტოგრაფებსაც კი სთხოვდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე გადაცემაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ელჩი იტალიაში ნიკოლოზ ლუნკოვი, რომელმაც ჩვენი ანსამბლის გამოსვლის შემდეგ ილაპარაკა საბჭოთა საქართველოზე, მის მიღწევებზე, კულტურასა და ხელოვნებაზე.

— საკმაოდ პრესტიჟულად უნდა მივიჩნიოთ ისიც, — გვიამბობს ჰამლეტ გონაშვილი, — რომ ამ საერთაშორისო ფესტივალის გახსნის საპატიო და ერთობ რთული მისია წილად ხვდათ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებს. სიამოვნებით ვიგონებ 28 თებერვალს შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში ფესტივალის პროგრამის გარეშე ტურიზმის საგამოფენო დარბაზში გამართულ კონცერტს, ბოლო არ უჩანდა ოვაციებს. ეს იყო ნამდვილი ტრიუმფი და სრული კომპენსაცია იმ დაძაბული და მომქანცველი შრომისა, დროის ამ მცირე მონაკვეთში რომ მოგვიწია.

საერთოდ ყველა ჩვენი გამოსვლა გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა. შესვენებებზე და კონცერტების შემდეგ კულისებში შემოდიოდნენ მაყურებლები და გულწრფელად გვილოცავდნენ წარმატებას, აღტაცებას გამოთქვამდნენ ქართული ხალხური მუსიკის ორიგინალობის, სირთულისა და დახვეწილობის გამო. მსმენელთა დიდი აღფრთოვანება დაიმსახურა ქართული მუსიკალური ფოლკლორის ისეთმა მარგალიტებმა, როგორიცაა „ოდოია", „ნადური", „წინწყარო", „ხასანბეგურა", „კვირია", „შენ ხარ ვენახი". ყველა ეს სიმღერა მეორდებოდა დამსწრე საზოგადოების დაჟინებული თხოვნით. მთელმა ჩვენმა ათდღიანმა საგასტროლო ტურნემ უაღრესად მაღალმხატვრულ დონეზე ჩაიარა და ქართული ხალხური მუსიკის ჭეშმარიტ ზეიმად გადაიქცა.

შეეხო რა მომავლის გეგმებს, ბადრი თოიძემ თქვა:

— მცირე შესვენების შემდეგ ჩვენი ვოკალური ჯგუფი მოცეკვავეთა დასთან ერთად დაიწყებს მზადებას ახალი საიუბილეო საკონცერტო პროგრამისათვის ჩვენი ანსამბლის დაარსების 15 წლისთავთან დაკავშირებით. იუბილე გაიმართება 17 მაისს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ზაფხულში კი კვლავ შორეული და ხანგრძლივი საგასტროლო ტურნე გველის.

მ. ჩოდრიშვილი,
მუსიკათმცოდნე.

ნოდარ ჯალაღონია

ციკლიდან „ოდა თანამედროვეებს"

ანზორ ერქომაიშვილს

რომელმაც მოძებნა, აღადგინა ქართული სიმღერები და ისევ დაგვიბრუნა წინაპართა ხმები.

I

გულს რომ გვითბობს და
თვალებს გვისველებს,
ის ხმები განა მარტო ხმებია.
რომ უმღერიან მამულს ისევე,
გაცოცხლებული წინაპრებია.
თითქოს სიმღერებს ახსნეს
ურდული,
თითქოს ურემი კვლავ იწყებს
ჭრიალს,
გზაზე დარდივით მიდის
ურმული,
და საქართველოს ტკივილი
მიაქვს.
ჩანს ცისარტყელას შვიდივე
ფერი,
ვილაცას ჩანგზე გაუბამს
ხიმაღ.
ის დალოცვილიც იმგვარად
მღერის,
მართლა მოსულა ჟუჟუნა წვიმა.
ვხედავ მიჰყვება შავი მერცხალი
ისევ ალაზნის ლამაზ ნაპირებს,
და სალამურის ხმებით
მეცხვარეს
პატარძალივით მოჰყავს აპრილი.
მტერგადაცლილი პანგი
მეტივის
გაიშრიალებს როგორც ხავერდი,
თითქოს შეცურდა ცაში გედივით
ფრესკა ყინწვისის და
ალავერდის.
ველარ დაუდგამთ ქედზე
უღელი,
და ახლა ხმები გარს რომ
უვლიან,
ის „კრიმანჭული" ქედმოუხრელი
და მეამბოხე კაცის სულია.
ზარია მართლაც ის „ზარის"
ხმები,
გუგუნებენ და ცაში ადიან,
ეს ვინ შეკონა ხვანეთის მთები
და სიმღერებში ვინ ჩაატია.

II

სულ რომ ცრემლი და სისხლი
გდიოდა,
მიკვირს, მამულო, როგორ
შესძელი,
როგორ, საიდან ამოდიოდა
ეს სიმღერები სულის
შემძვრელი.
როცა ერთად და თითო
ოროლად
ყველა ვარდი და ია აკაფეს,
როდის უსტვენდა შენი ტოროლა
როდის გალობდა შაშვი, კაკაბი.
გადაგიარეს თავს გრიგალებმა,
და სახწაული არის რაც არი.
როდის იმღერე და იგალობე,
როდის შესძელი და მოასწარი.
ალბათ იმიტომ, ჩემო ქვეყანავ,
შენი გოდებაც სიმღერას
ჰგავდა.
თუმცა კრწანისი გულზე
გეყარა,
დიდგორიც გქონდა კრწანისის
გარდა.
ალბათ იმიტომ გიჭრიდა გორდა,
მტერიც ამაოდ იმიტომ მოცდა.
შენი რწმენა და იმედი ჰქონდა
სიტყვის, სიმღერის თუ
ფუნჯის ოსტატს.
ალბათ იმიტომ მტრის ჯავრს
და სირცხვილს
რომ აღარ ვჭამდით, მამულო
ჩემო,
ამიტომ წვეთავს ოფლი და
სისხლი

კონკურსის გამარჯვებულნი

ჟურნალმა „საქართველოს კომუნისტის" რედაქციის და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" მიერ გამოცხადებული შემოქმედებითი კონკურსის შედეგები. კონკურსი ეძღვნება დიადი გამარჯვების 40 წლისთავს.

ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი და მეორე პრემია არავის არ მიენიჭებია.

მესამე პრემია მიენიჭათ რობერტ მეგრელიშვილს ნარკვევისათვის „გაუფრთხილდით მშვიდობას" და ივანე სავჩუკს ნარკვევისათვის „პაროლი — გამარჯვება".

პრემიით აღნიშნული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ჟურნალ „საქართველოს კომუნისტში".

(საქინფორმი).

წიგნის თარო

უმღერის ბედნიერ სიცოცხლეს!

„ნაკადულმა" გამოსცა ლერი ბეგიაშვილის ლექსების წიგნი „ბედნიერი სიცოცხლე".

მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც ლერი ბეგიაშვილის ლექსები ქართულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება; ამ ლექსებისათვის ავტორს საქართველოს მწერალთა კავშირისა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს პრემიაც მიეკუთვნა.

ვინც ამ წიგნს გაეცნობა, დარწმუნდება, რომ მისი ავტორის, — პარტიული მუშაკისა და ჟურნალისტიკის ასპარეზზე ხანგრძლივად ნალვაწი პატიოსანი მშრომელი კაცის სახე, როგორც სარკეში, ისე ჩანს მის გულწრფელ სტრიქონებში. და თუ ეს პირველი კრებული პოეტის ცოტა ნაგვიანევი წიგნია, ამის მიზეზიც სწორედ მისი დამამშვენებელი თვისებები — მოკრძალება, უბრალოება და თავმდაბლობაა.

წიგნის რედაქტორი მ. არაბული, მხატვარი — გ. ღლონტი.

ა. ივანიძე.

ჭადრაკი

მაია ჩიბურდანიძის სკოლა

ჩვენს ქვეყანაში დიდად პოპულარულია მსოფლიო ...

„ჩემი მილიცია მე მიცავს". რომელ ჩვენგანს არ გახსენებია ამა თუ იმ სიტუაციაში პოეტის ეს სტრიქონი, რომელიც ჩვენი სადაგი დღეების ჭეშმარიტად ფრთიან დევიზად იქცა.

მაგრამ იმისათვის, რომ დაგვიცვას, საჭიროა ძალიან ბევრი რამ იცოდეს და შეეძლოს. სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა მსმენელებს იმ აუცილებელი მოცულობის ცოდნას აძლევს, რომელიც დღეს სჭირდებათ სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკებს პრაქტიკულ საქმიანობაში, რათა ჩვენ, მე და თქვენ, მკითხველო, მარჯვედ დაგვიცვან, მტკიცედ და პროფესიულად ებრძოლონ იმათ ვინც ხელყოფს კანონს.

უკვე მეექვსე წელია მოქმედებს საქართველოს დედაქალაქში მილიციის უმაღლესი სკოლა, რომელიც თავისი პროფილით ერთადერთია ამიერკავკასიაში. დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილებების კურსდამთავრებულები (პირველი გამოშვება კი ორი წლის წინათ იყო) იღებენ სამართალმცოდნე — იურისტის დიპ-...

სახიფათოც და ძნელიც...

განსაქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის ფაკულტეტის უფროსმა, პოლკოვნიკმა ორჯონ შალვას ძე ქოჩლაძემ — სპორტული მოედნები, საჭიდაო დარბაზები, ტირი, საცურაო აუზი, ტანვარჯიშის მთელი კომპლექსი. სამართალდაცვითი ორგანოებისათვის კადრების მომზადება იმგვარად მიმდინარეობს, — თქვა შემდეგ მან, — რომ ჩვენი კურსდამ-...

ბოროტი მასპინძელი

200 წელზე მეტია, რაც მსოფლიო სცენაზე გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი", კისკისა მირანდოლინა დაცქრიალებს და ზოგს ჰკუას ასწავლის და ზოგს — სიყვარულს... ახლა იშვიათად თუ შეხვდებით მსოფლიოს რომელიმე სასტუმროში ასეთ ხალი-...

დრე შინაგანაწესს დაარღვევს, გარიგება ირღვევა და მას უფლება აქვს დაითხოვოს წესის დამრღვევი. ეს არის და ეს. კაცმა რომ თქვას, ჩვენს სასტუმროში არსად არ არის რაიმე ისეთი საგანგებო წესი, რომ ნორმალური ადამიანის ცხოვრების წესს ეწინააღმდეგებო-...

ორმოცი წლის შემდეგ

„დინამო" და „რაპიდი"